

ნესტან სულავა

„ერი სამეპურო...“

იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ მოთხრობილია, ვინ მივიდა საპყრობილეში მყოფი მომაკვდავი შუშანიკის სახაზავად და მასთან გამოსამშვიდობებლად: „აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს.“ აქ ხსენებული სიტყვა „ზეპურნი“ სამეცნიერო ლიტერატურაში (ნ. მარი, ი. ჭავჭავაძე, ი. აბულაძე, მ. ანდრონიკაშვილი, ხ. ჭანაშია) სოციალურ ტერმინად მიიჩნეული. იგი VI-VII საუკუნეებში ქართულად (ძირითადად სომხურიდან) ხათარგმნ თხზულებებშიც დასტურდება. X-XIII საუკუნეების ქართულ მწერლობაში „ზეპურისაგან“ ნაწარმოები ზედსართავი სახელი „საზეპური“ საკმაოდ ხშირად გამოიყენება, თუმცა მას სოციალური ფუნქცია აღარ აქვს.

სამეცნიერო ლიტერატურაში „შუშანიკის წამებაში“ დამოწმებული ეს ტერმინი სხვადასხვაგვარად არის გააზრებული. მეცნიერთა ნაწილი ზეპურსა და საზეპუროს ეტიმოლოგიურად სპარსული ენიდან მომდინარე ტერმინად მიიჩნევს, ნაწილი ქართული წარმომავლობის სიტყვად აღიქვამს.

სულხან-საბა ორბელიანმა სიტყვა „საზეპუროს“ სოციალურ ფუნქციასთან ერთად სიმბოლური დატვირთვაც მიაჩნა და ზეცის პურისმტედ განმარტა. დიდ ლექსიკოგრაფს მისი წარმომავლობა არ მიუთითებია. ნ. მარის აზრით „საზეპურო“ არის *Собственный*, ხოლო სიტყვა „ზეპური“ საიდანაც წარმოდგა იგი, ნიშნავს: „Сын дома, наследный княжич“. მახვე აღნიშნავს, რომ ქართულს ეს ტერმინი სპარსულისგან სომხურიდან; საშუალებით უნდა ჰქონოდა შეთვისებული, სპარსულად იგი („ვისპურ“) სახლის შვილს ნიშნავს. მისი აზრით „სეპუპი“ და ქართული „სეფე“ სახლის მხოლოდ უფროსი შვილის აღმნიშვნელი იყო. იგი სომხურიდან ხათარგმნ თხზულებებში „საკუთარს“ ნიშნავს.

ივანე ჭავჭავაძეში „ქართული სამართლის ისტორიაში“ საგანგებოდ იკვლია ტერმინები „საზეპურო“ და „ზეპური“. მან გაიზიარა ნ. მარის თვალსაზრისი ტერმინთა სპარსულიდან მომდინარეობის შესახებ, ოღონდ უშუალოდ სპარსულიდან შემოსულად მიიჩნია და არა სომხურის გზით: „ეს ტერმინი ქართულს სპარსულიდან უნდა ჰქონდეს ზეპირად შეთვისებული... ამ ტერმინის უცხო ენითგან შეთვისებულობის გამო ეს სიტყვა უეჭველია დიდ აზნაურთა გვარის შვილების

აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო“. ნ. მარის თვალსაზრისი, რომ სომხური „სეპუპი“-ი და ქართული „სეფე“ სახლის მხოლოდ უფროსი შვილის აღმნიშვნელია, ი. ჭავჭავაძეში არასწორად მიიჩნია და ჩათვალა, რომ „სეპური დედანი“ ან „სეფე-ქალი“ და „სეფე-წული“ საგვარეულოს ყოველი წევრის, ყოველი გვარის შვილის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. მან „საზეპურო“ ადამიანის პირადი საკუთრების აღმნიშვნელ ტერმინად მიიჩნია: „საზეპურო“ თავდაპირველად მართო „სეპუპის“, ახუ წარჩიებული საგვარეულოს წევრის საკუთრების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ შემდეგში, როდესაც „სეფე“ უკვე უფლის აღმნიშვნელ ტერმინად შეიქმნა, „საზეპურო“ წარჩიებული საგვარეულოს თუ მისი თითოეული წევრის საკუთრების აღმნიშვნელი უნდა გამხდარიყო, მერმინდელი „სასეფოს“ შესატყვისობა ყოფილიყო. მან გამოთქვა ეჭვი, რომ „საზეპურო“ ზოგადი, მოელი მოსახლეობისათვის დაწესებული და „საკუთრების“ ზოგადი ცნების გამოხატველი ტერმინი უნდა ყოფილიყო. VIII-IX საუკუნეებიდან მოყოლებული ეს ტერმინი თანდათან ქრება და მწიგნობრულ ტერმინად იქცევა. შემორჩენილია მხოლოდ ტერმინი „სასეფო“, რომელსაც პირადის მნიშვნელობა მიეხიქა. ადამიანის პირადი საკუთრების აღსანიშნავად „საზეპუროს“ „საკუთარმა“ სძლია.

მ. ანდრონიკაშვილმა გაიხილა ქართულ თუ უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულებები, საზეპუროსა და ზეპურის შესახებ, მან გაიზიარა ნ. მარის თვალსაზრისი და დაასკვნა, რომ „ეს არშაკიდული ფალაური სიტყვაა, შემოსული ქართულში სომხურის გზით“. მან დაიმოწმა, აგრეთვე, ა. ჩელიეს თვალსაზრისი: „დაბოლოება ხამდვილად ჩრდილო დასავლური ფორმაა, ოღონდ პირველი ტერმინი გაურკვეველია, რადგან შეუძლებელია იქ დავიხაზოთ *vis* - როგორც ეს უნდა ნ. მარს, მისი გარკვევა შეუძლია მხოლოდ ჩრდილო-დასავლური დიალექტის შემდგომ შესწავლას“.

ზეპურის და სეფეს დამოკიდებულებას შეეხებ ს. ჭანაშია, ვ. თოფურია, ნ. ბერძენიშვილი, ი. აბულაძე, გ. მელიქიშვილი, ა. ხოვოსელცევი, ხ. აღოხცი, ა. ბოგვერაძე, ზ. ალექსიძე, გ. მამულია და სხვ.

საზეპუროს შესახებ დაახლოებით ეროზიარა აზრია გამოთქმული სამეცნიერო ლიტერატურაში. ივანე ლოლაშვილმა, გაიზიარა საბასეული გახმარება: „ზე-



ციური პური - მტე"; ერ საზეპუროდ ხარ 52, I. შენ ხარ საზეპუროდ ერის წევრთაგანი, ღვთიური პურისა და მადლის მონაწილე. ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით, იგი საკუთარია, მისია, რასაც ადასტურებენ, II შჯულისა და I მეფეთა წიგნების ებრაული და ბერძნული ტექსტების მონაცემები. ს. ყაუხჩიშვილის შედგენილ ლექსიკონში, რომელიც „ქართლის ცხოვრებას“ ერთვის, გაზიარებულია საბას განმარტება და ერი საზეპურო „ღვთის მიერ ამორჩეულად“ არის მიჩნეული. „ქართული პოეზიის“ პირველ ტომს დართულ ლექსიკონში ს. ცაიშვილმა ი. აბულაძისეულ განმარტებას - „მისი, საკუთარი“ - „ღვთისგან ამორჩეული“ დაამატა. „უდაბნოს მრავალთავეში“ ზ. კუმბურიძემ საზეპურო განმარტა, როგორც საუფროსო, უფროსობის ღირსი. ზ. სარჯველაძემ საზეპურო თავისუფლებად განმარტა. ბ. კილანავამ „შუშანიკის წამების“ „ზეპურნი ღედანის“ განსამარტებლად თვით სიტყვის გრამატიკულ-ლექსიკოგრაფიული ანალიზი შემოგვთავაზა. იგი ქართველურ ენებში, კერძოდ მეგრულში, და ქართულ დიალექტებში გავრცელებულ მნიშვნელობებს დაუკავშირა და აღნიშნა, რომ: „იაკობ ხუცესის „ზეპური“ „მარტივფუძიანი ქართულ სიტყვაა, რომელიც მოქარბებული სიმდიდრის, სიუხვის ქონას, მფლობელობას გამოხატავს. ეს მნიშვნელობა კარგად ესადაგება „შუშანიკის წამების“ კონტექსტს, სადაც „ღედანი ზეპური“ სწორედ თავიანთი „ზეპურობითა“ გამორჩეული ჩვეულებრივი აზნაურებისაგან“.

ეს უკანასკნელი თვალსაზრისი უმართებულოდ გვეჩვენება, რადგან „ზეპურის“ ამგვარი განმარტების საშუალებას - ქართველურ „ზეპ“ ძირთან მისი დაკავშირება - არ იძლევა არც იაკობ ხუცესის თხზულების კონტექსტი, არც ბიბლიური მონაცემები, არც X-XIII საუკუნეების ქართულ ძეგლებში „საზეპუროს“ გამოყენების შემთხვევები. იაკობ ხუცესთან და სომხურიდან თარგმნილ თხზულებებში იგი სოციალური ტერმინია, რაც მეცნიერულად არის დასაბუთებული სპეციალურ ლიტერატურაში. /ი. ჭავჭავაძე, ი. აბულაძე/, ხოლო მოგვიანებით განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინა. ზ. ალექსიძე „სეფე-წულის“ სემანტიკური ცვლილებების დაკვირვებისას მივიდა იმ დასკვნამდე რომ, იგი საუკუნეთა მანძილზე მნიშვნელობას იცვლიდა და თავდაპირველი სემანტიკური ფუნქცია დაკარგა; იგივე შეიძლება ითქვას „საზეპუროს“ შესახებ. „ზეპური“ V-VII საუკუნეების ორიგინალურ თუ სომხურიდან ნა-

თარგმნ თხზულებებში არის სოციალური ტერმინი და იგი დიდგვაროვანთა აღმნიშვნელია. ეს სახელი X-XIII საუკუნეების ძეგლებში აღარ გვხვდება, ხოლო მისგან ნაწარმოები ზედსართავი სახელი „საზეპურო“ რომელიც საკმაოდ გავრცელებული ჩანს ამ დროის მწერლობაში, კარგავს სოციალური ტერმინის ფუნქციას და სიმბოლურ დატვირთვას იძენს, მიუხედავად იმისა რომ სემანტიკურად კვლავ რჩეულის მხიშვნელობას ინარჩუნებს. ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში“ ვკითხულობთ: „ღედაო ჩემო არა უგულუბელ ვყოფი ვი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა მეოხებითა, შენითა მათთჳს. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხუედრებულსა, და თახა-წარატახე ხატი შენი ვითარიცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს და შენ წილ ხატი იგი შენი მკჳდრობდეს, მცუელად მათდა უკუნისამდე ეამოა“

ნიკოლოზ გულაბერიძემ, გიორგი მესამისა და თამარის თანამედროვემ, საქართველოს კათალიკოსმა თავის უაღრესად საინტერესო, მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვან პოლიტიკურ თხზულებას „საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოდსა და კათოლიკე ეკლესიისა“ ქართველ ხალხს საზეპურო უწოდა, თხზულების ბოტბით ნაწილში, ანუ „გიხაროდენში“ კი წერია: „გიხაროდენ, მომგებელო ვრად საზეპუროდ ნათესავად წმიდად სამეფოდ გიხაროდენ, რომლისა მიერ თაყუანის-ცემენ დამბადებელსა! გიხაროდენ, სუეტო ცხოველო!“

მოხმობილი ნაწყვეტებიდან ჩანს, რომ ღმერთმა წინასწარ შეამზადა ქართველი ერი საზეპუროდ, რადგან აქ მოავლინა უფლის კვართი, როგორც მადლი ღვთისა, და ღვთისმშობლის წილხვედრი გახადა.

საზეპუროდაა მოხსენიებული ქართველი ერი „აბდულმესიანშიც“.

„ბანაკად საღმერთოდ, ერ საზეპუროდ ხარ ღმერთისმეტყველთა მათ ქურვილთაგან“
/VII, 52, I/

ე. ი. ღრმად მკვრეტელ, ღრმად მხედველ ღმერთისმეტყველთაგან, ქართველი ერი აღიარებულია საღმერთო კრებულად და მისგან გამორჩეულად.

ანონიმი ავტორის „დავით და კონსტანტინეს წამების“ მეტაფრასულ რედაქციაშიც საზეპუროდ მოიხსენიება ქართველი ერი;

XIII საუკუნის 20-30-იანი წლები საქართველოს კათალიკოსის, ცნობილი ჰიმნოგრაფის არსენ ბულმაისიძის საგალობელში „ხელთუქმნელისა და უხილავისა ხატისა“ გვაქვს ასეთი ტროპარი: „ახალსა დაუუნჯე ქართველთასა, ვრდა საზეპუროსა, ვინა დეცა იდიდე ღვთისა მიერ, ბრძენო შემყურებელი მისი და აწ დამონებასა შენსა წინაუძღუს დღეს მამათა მზე ანტონი“ /A-85, 279r/, რომელსაც მოსდევს გასაოცარი ეროვნული სიამაყის გრძნობით გაჭერებული მიმართვა ქართველთა სამეფოსადმი: „იხარებდ დღეს, იხარებდ, ქართველთა სამეფოო, ერო მორწმუნეთაო, რამეთუ არასადა უმრწმეს ვყო შენ ქრისტემან, არამედ მოგცა ხატი თჳსი დიდებული“ /იქვე/. ავტორის აზრით, ქართველები „საზეპურო ერია“ და ქართველთა სამეფო „არასადა უმრწმეს ყო ღმერთმან“ საქართველო იმითაც გამოარჩია ღმერთმა, რომ იგი გახადა კაცზე დატვიფრული მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის

ნაცსაყუდღე¹ დ. ამგვარი განწყობილება და ეროვნული სიამაყის გამოხატვა VIII საუკუნეში იოანე საბანისძია თხზულებაში ბერძნებთან ქართველების შეთანატოლების შესახებ მიხიშნებულ თვალსაზრისშიც: „არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებად ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკვიდრთა... აჰა, ესერა ქართლისაცა მკვიდრთა აქუს სარწმუნოებად და წოდებულ არს დედად წმიდათა“. ცოტა მოგვიანებით, X საუკუნეში იოანე ზოსიმეს საგალობელშიც აისახა ქართველთა და ქართული ერის რჩეულობის იდეა.

საზეპუროს მნიშვნელობის განსაზღვრაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ბიბლიის ქართული თარგმანის მონაცემებს, რომელთა მიხედვით ისრაელია საზეპუროდ მიჩნეული. II შჯულისა და I მეფეთა წიგნების ქართული თარგმანის ყველა რედაქცია საზეპუროდ მიიჩნევეს ებრაელ ერს. ებრაული და ბერძნული ტექსტების შესაბამისი მუხლების მიხედვით ჩანს, რომ ამ სიტყვას არავითარი განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭეს. II შჯულის წიგნში მისი შესატყვისია „შენს ძეებს“, ხოლო I მეფეთაში - იაჰვეს ხალხს. ჩანს, რომ ქართულ ტექსტში ქართველი მთარგმნელების მიერ გამოყენებულ თავისუფალ მთარგმნელობით მეთოდთან უნდა გვქონდეს საქმე. ებრაულ ტექსტში საზეპურო შეესაბამება სიტყვას „segulla“ - ღმერთის ძვირფასი საკუთრება, ბერძნულში - „λαῖα περιουσία“ გამოჩენილი, საუკეთესო, აღმატებული, არაჩვეულებრივი ხალხი. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბიბლიის ქართული თარგმანი ბერძნულიდან შესრულებული უხდა იყოს. ამჟერად ჩვენთვის საინტერესოა საბასეულ რედაქციაში შეტანილი შესწორების წარმომავლობა. იგი ითვალისწინებს ბერძნული ტექსტის მონაცემებს, თავის მხრივ ბერძნული ებრაულის აღდეკატურია. ხელნაწერში შესწორებები საბას ხელითაა შეტანილი, იგი რედაქციული შესწორების დონეს სცილდება. „მცხეთური ხელნაწერის“ გამოცემას დართულ გამოკვლევაში ელ. დოჩანაშვილმა შენიშნა: „მცხეთური ხელნაწერის უმეტესი ნაწილი რომ, მართლაც, ქართული ბიბლიის არქაუგლ და XI-XIII საუკუნეებში, ბერძნული ეხიდან ნათარ...² ლა ბერძნულთან შეყერებულ უწინდელ ვერსიებს გახეკუთვნება, დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში ეჭვს არ იწვევს“. იქვე ისიც აღნიშნულია, რომ „გამოსლვათა“ წიგნის თარგმანში სხვადასხვა ხარისხი განიჩევა: „XIII-XXX თავებში ბერძნულის გავლენა გაცილებით უფრო საგრძნობი ხდება. ამრიგად, აქ საქმე გვაქვს ბერძნული ტექსტიდან თარგმანის სხვადასხვა ხარისხთან“. ბ. გიგინეიშვილის ხაშრომში „ხუთწიგნეულის ქართული ვერსიები“ განმტკიცებულია ადრე გამოთქმული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ საბა ეყრდნობოდა ბიბლიის ოშკურ და

გელათურ რედაქციებს; „როგორც ცნობილია, საბასეული ხელნაწერი რედაქციული შედგენილობის თვალსაზრისით ნაირგვარია. ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ სულხან-საბა ორბელიანი დეფექტურ ნაწილებს ავსებდა სულ სხვადასხვა ტიპის ხელნაწერებით, რომელთაგან ზოგი ძალიან ძველი ჩანს, ზოგი კი - ხაკლებ ძველი“. ბ. გიგინეიშვილის აზრით, გამოსლვათა და რიცხვთა წიგნები S რედაქციაში დამოუკიდებელია. საბამ ქართული ტექსტი დაუახლოვა ბერძნულს, რასაც ხსენებულ მუხლში, „იყვენით ერად ჩემდა“-ს ხაცვლად „იყვენით ჩემდა ერ საზეპუროდს“ გამოყენებაც ადასტურებს. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ მომდევნო მუხლი საზეპურო ერის განმარტებასაც შეიცავს: „ხოლო თქუენ იყვენით ჩემდა სამეუფო, მღდელობა ნათესავ წმიდა. ესე სიტყუახი ჰრქუხე ძეთა ისრაელისათა“. /გამოსლ. 19,6/.

ქართველმა მთარგმნელებმა და რედაქტორებმა ტერმინს თავისთავად მნიშვნელობასთან ერთად ებრაულსა და ბერძნულ ტექსტებში შემოხახული სიმბოლურობაც შეუნარჩუნეს.

ასევე საზეპურო გააზრებული „ხევბირებულ ძლისპირთა“ კრებულში მოთავსებულ ერთ საგალობელშიც: „შეიწყნარა ახალი ისრაელი მოხად, თუ სი, ერი წარმართთაჲ, საღმროთაჲთა სისხლითა მოგებული, ყო ვრ საზეპუტე, /ვარიანტი: საზეპორე/ თავისა თუ სისა...“ „შატბერდის კრებულში“ მოთავსებული ბასილი კესარიელის თხზულებაშიც „მჯეკოთოუს სახისა სიტყუაი“ ასევე ებრაელი ხალხია საზეპუროდ მიჩნეული; ითახე ოქროპირის საკითხავში, რომელიც „ულაბხოს მრავალთავშია“ შეტანილი, კვლავ იმავე მნიშვნელობითაა დატვირთული; „ესე არს, რომელმან გამოგუყვანნა ჩუენ მონებისაგან აზნაურებად, ბხელისაგან ნაოლად, სიკუდილისაგან-ცხორებად, განდგომილებისაგან-სასუფეველსა საუკუნესა და მყვენა ჩუენ სამღდლო ახალ და ვრ საზეპუტო, რადთა მისსა ლიდებასა მარადის ვიდიდებოდით“.

ბიბლიურ მონაცემებსა და ქართულ ორიგინალურ ძეგლებზე დაკვირვების შედეგად ჩანს, რომ საზეპურო ერი სწორედ ღვთისგან გამორჩეული, ღვთის საკუთარი ერია და მას იდეოლოგიური, რელიგიურ-სიმბოლური დატვირთვა აქვს, რასაც საბასეული განმარტება - „ზეცის პურისმტე“ - ახუ ღვთაებრივი პურისა და მადლის მოზიარე, ზედმიწევნით ასახავს. ხაშრომში მოხმობილი მასალის მიხედვით „საზეპუროდ“ მიიჩნევა ებრაელი ან ქართველი ხალხი. ამ ტერმინთან დაკავშირებული ერის გამორჩეულობის, მესიასიზმის იდეა დამახასიათებელია არა მხოლოდ ქართული იდეოლოგიისათვის, არამედ ქრისტიანული და სხვა რელიგიური აღმსარებლობის სხვადასხვა ქვეყნებისთვისაც.